საქართველოს იუსტიციის მინისტრს

საპროკურორო საბჭოს თავჯდომარეს

ქალბატონ თეა წულუკიანს

სამოქალაქო საზოგადოების – არასამთავრობო ორგანიზაციების

ერთობლივი განცხადება

(მთავარი პროკურორობის კანდიდატის შესახებ)

პროკურატურის შესახებ საქართველოს კანონის 9[1] მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: „მთავარი პროკურორის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 6 თვისა, ხოლო მთავარი პროკურორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში – დაუყოვნებლივ, იუსტიციის მინისტრი მთავარი პროკურორობის კანდიდატების შესარჩევად იწყებს კონსულტაციებს აკადემიურ წრეებთან, სამოქალაქო საზოგადოების წევრებთან და სამართლის დარგის სპეციალისტებთან. აღნიშნული კონსულტაციები 1 თვის განმავლობაში მიმდინარეობს. ამ კონსულტაციების შედეგად იუსტიციის მინისტრი შეარჩევს და საპროკურორო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს მთავარი პროკურორობის არანაკლებ 3 კანდიდატს, რომელთა ერთი მესამედი მაინც განსხვავებული სქესის უნდა იყოს. მთავარი პროკურორობის კანდიდატების შესახებ წარდგინება უნდა დასაბუთდეს."

ამავე კანონის 9 მუხლის 1[1] პუნქტის თანახმად: „ მთავარ პროკურორად შეიძლება არჩეულ იქნეს ნასამართლობის არმქონე, უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს სისხლის სამართლის საქმეების განმხილველ მოსამართლედ, პროკურორად ან საერთო ან სისხლის სამართლის სპეციალიზაციით სისხლის სამართლის საქმეებზე ადვოკატად მუშაობის არანაკლებ 5-წლიანი გამოცდილება, ან რომელიც არის სისხლის სამართლის დარგის აღიარებული სპეციალისტი უმაღლესი სასწავლებლიდან ან სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციიდან და რომელსაც აქვს იურისტის პროფესიით მუშაობის არანაკლებ 10-წლიანი გამოცდილება. მთავარი პროკურორობის კანდიდატი თავისი ზნეობისა და პროფესიული თვისებების გამო მაღალი ავტორიტეტით უნდა სარგებლობდეს."

03 11 2015
№ 01/18522

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერი არასამთავრობო ორგანიზაციები, წარმოგიდგენთ საქართველოს მთავარი პროკურორობის კანდიდატად, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრს, ადვოკატს საერთო სპეციალიზაციით, ლაშა გოლუბიანს.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ ლაშა გოლუბიანი, არის მოქმედი ადვოკატი, რომელსაც გააჩნია 6 (ექვსი) წლიანი საადვოკატო სტაჟი. იგი დგას სამართლიანობის სადარაჯოზე მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების მანძილზე. მას გააჩნია ყველა ის თვისება, რაც აუცილებელია მთავარი პროკურორისთვის, კერძოდ, გამოირჩევა პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობით, პუნქტუალურობით, მენეჯერის თვისებებით, აქვს გადაწყვეტილების მიღების სწრაფი უნარი, სუფთა წარსული და ყველა ის თვისება რაც აუცილებელია საპასუხისმგებლო პოსტზე მუშაობისთვის.

ბატონი ლაშა არის ღირსეული პატრიოტული სულისკვეთებით განმსჭვალული, ყოველთვის და ყველგან სიმართლის დამცველი პიროვნება. მის ამ თვისებებზე მეტყველებს ზუსტად მისი ბიოგრაფიული მონაცემები:

2007 წლიდან აქტიურად იყო ჩართული უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლაში,

2010 წლიდან – დღემდე არის წარმატებული ადვოკატი, მას არაერთი საქმე აქვს მოგებული, რაც მის პროფესიონალიზმზე მეტყველებს,

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინა და შემდგომ პერიოდში, მუშაობდა კოალიცია „ქართული ოცნების" „ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტში" სადაც იცავდა წინა რეჟიმის მიერ პოლიტიკურად დევნილი, რეპრესირებული ადამიანების უფლებებს.

2014 წლიდან – 2015 წლამდე იყო საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სისხლის სამართლის კომიტეტის წევრი.

2013 წელს მეგობრებთან ერთად მან დააფუძნა არასამთავრობო ორგანიზაცია „დაიცავი შენი უფლებები", რომლის თავჯდომარეც გახლავთ დღესაც.

ბატონი ლაშა დღესაც აქტიურად იცავს ყველა იმ ადამიანს რომელთა უფლებებიც ირღვევა, იგი სამოქალაქო საზოგადოების ერთერთი აქტიური წევრია და საკმაოდ კარგი ავტორიტეტით სარგებლობს საზოგადოების ფართო მასებში.

იგი აკმაყოფილებს მთავარ პროკურორად არჩევის ყველა კრიტერიუმს.

როგორც მოგეხსენებათ, პროკურატურის საქმიანობის პრინციპებია:
ა) კანონიერება;
ბ) ფიზიკური პირის უფლებებისა და თავისუფლებების, იურიდიული პირის

უფლებების დაცვა და პატივისცემა;
გ) პროფესიონალიზმი და კომპეტენტურობა;
დ) ობიექტურობა და მიუკერძოებლობა;
ე) ერთიანობა და ცენტრალიზაცია, ყველა ქვემდგომი პროკურორისა და პროკურატურის სხვა მუშაკის მთავარი პროკურორისადმი დაქვემდებარება;
ვ) პოლიტიკური ნეიტრალიტეტი.

გამომდინარე იქიდან, რომ საკმაოდ კარგად ვიცნობთ ლაშა გოლუბიანს, ვიცით მისი პიროვნული თვისებების შესახებ დარწმუნებულნი ვართ, მთავარ პროკურორად არჩევის შემთხვევაში სწორედ ზემოთ ჩამოთვლილი პრინციპების დამცველი და გამტარებელი იქნება. იგი გაზრდის საზოგადოების მხრიდან პროკურატურის ნდობის ხარისხს, სწრაფად და ობიექტურად გამოიძიებს გახმაურებულ საქმეებს და ერთხელ და სამუდამოდ დაამკვიდრებს სამართლიანობის განცდას ქვეყანაში.

ყოველივე ზემოაღნულიდან გამომდინარე ქალბატონო თეა, თქვენ როგორც საპროკურორო საბჭოს თავჯდომარეს და ამ საბჭოს თითოეულ წევრს მოგმართავთ წინადადებით და თხოვნით განიხილოთ ლაშა გოლუბიანის კანდიდატურა მთავარი პროკურორის თანამდებობაზე და დაუჭიროთ მას მხარი.

პატივისცემით, არასამთავრობო ორგანიზაციები:

1. „დაიცავი შენი უფლებები" (406108992) დამფუძნებელი დალი ნიკოლაიშვილი 557 106 101 (ვოცდა)
2. ახალგაზრდული მოძრაობა „თავისუფალი თაობა" (405071229) დამფუძნებელი ვლადიმერ სადღობელაშვილი 571 80 00 02
3. კავშირი - "ადამიანის უფლებები და მოვალეობები" (01001013616) ადვოკატი ლაშა სტურუა 571-77-04-08
4. „სახალხო კონტროლის სამართალი" (402018151) თავჯდომარე ალექსანდრე ხიზანიშვილი 595-57-58-39

5. ავღანეთის ომის ვეტერანთა საქართველოს კავშირი
თავმჯდომარე - კონსტანტინე მაკიშვილი [illegible] 71-15

6. „მომავლის ნათება" (404474573) -
მარიამ მინდორაძე - 558-58-32-53

7. საზოგადოებრივი ორგანიზაცია „საქართველო მშვიდობისათვის" (404488363) - თავმჯდომარე - დავით თევზაძე
577750488

8. ტრანსნაციონალური განვითარება - სიცოცხლის თაობა
თავმჯდომარე - ანზორ ყორხიზიძე - 568630553

9. საქართველოს აზერბაიჯანელთა ეროვნული კონგრესი (400063541)
თავმჯდომარე ალი ბაბაევი
514-02-40-40

10.
დანართი 4 (ოთხი) ფურცელი

11.
03 11. 2015 წელი

12.

13.

14.

15.

სამოტივაციო წერილი

მოგესალმებით,

მე გახლავართ ლაშა გოლუბიანი, 2010 წლიდან - დღემდე ვმუშაობ ადვოკატად, ვარ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი (საერთო სპეციალიზაციით). საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სისხლის სამართლის კომიტეტის წევრი.

2012 წლიდან კი მპგ "ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის წევრი.

წინასაარჩევნო პერიოდში და შემდგომაც ჩვენმა კომიტეტმა გასწია არნახული სამსახური, ჩვენი გუნდი იყო კოალიციაში შემავალი თითოეული იმ ადამიანის დამცველი რომლებმაც საკუთარ თავზე გამოსცადეს წინა ხელისუფლების იმ რეპრესიული მანქანის მოქმედება რომელიც მიმართული იყო განსხვავებული აზრის დევნაში, უკანონო დაპატიმრებებში, უსამართლო დაჯარიმებებში, ბიზნესის წართმევაში, სამსახურიდან განთავისუფლებაში, დაშინებასა და ტერორში. ათასობით ჩვენ თანამოაზრეს აღმოვუჩინეთ იურიდიული დახმარება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. ვმუშაობდი ასევე მ.პ.გ. "ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"-ს იურიდიულ სამსახურში.

2013 წლის დეკემბრის თვიდან – დღემდე ვარ ა(ა)იპ "დაიცავი შენი უფლებები"–ს დამფუძნებელი/ თავჯდომარე. მაქვს პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა, გადაწყვეტილების სწრაფად მიღების უნარი და ყველა ის თვისება რაც საჭიროა საპასუხისმგებლო პოსტის დასაკავებლად.

ვინაიდან, ჩემი საქმიანობა დაკავშირებულია ადამიანის უფლებების დაცვასთან, და მაქვს ამის პრაქტიკული და თეორიული გამოცდილება ვფიქრობ, რომ მთავარ პროკურორად არჩევის შემთხვევაში ჩემი საქმიანობა იქნება წარმატებული.

არასამთავრობო ორგანიზაციების დიდმა ნაწილმა გამომიცხადა ნდობა რაც ჩემთვის დიდი პატივია.

ჩემი არჩევის შემთხვევაში გავზრდი პროკურატურის ნდობის ხარიხს, დავამკვიდრებ კანონიერებას, პროკურატურა გახდება აპოლიტიკური, ობიექტური, მთავარი აქცენტი გაკეთდება პროფესიონალიზმსა და საჯაროობაზე, პერიოდულად მოხდება საზოგადოებისთვის ანგარიშის ჩაბარება.

სწრაფად და ობიექტურად დასრულდება გახმაურებული საქმეების გამოძიება. ჩვენ ერთად უნდა დავამკვიდროთ სამართლიანობის განცდა ქვეყანაში.

მადლობას მოგახსენებთ ყურადღებისთვის.

პატივისცემით,

ლაშა გოლუბიანი

03.11.2015 წელი.

ლაშა გოლუბიანი

მოკლე ბიოგრაფიული ცნობები

პირადი ინფორმაცია

სახელი, გვარი	ლაშა გოლუბიანი		
მისამართი	ქ. თბილისი, ვარკეთილი 3, I მ/რ-ი, კორპ. 10, ბინა 15		
ტელეფონი	+995322271287	მობილური ტელეფონი	+995555370217
ელექტრული ფოსტა	lashagolubiani@mail.ru	დაბადების თარიღი	17.08.1984
ეროვნება	ქართველი	ოჯახური მდგომარეობა	დასაოჯახებელი

განათლება და კვალიფიკაცია

სკოლის, კოლეჯის, უნივერსიტეტის დასახელება, მისამართი	დამთავრების თარიღი	სპეციალობა, კვალიფიკაცია, სერთიფიკატები
ქ. რუსთავის №22-ე საშუალო სკოლა	2002	ატესტატი
ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, სამართალმცოდნეობის სპეციალობა, ბაკალავრის აკადემიური ხარისხი	2004-2008	იურისტი

სამსახურეობრივი გამოცდილება

სამსახურის დასახელება, მისამართი	მუშაობის დაწყების/ დამთავრების თარიღი	დაკავებული პოზიცია და უფლება-მოვალეობების ჩამონათვალი
არასამთავრობო ორგანიზაცია „დაიცავი შენი უფლებების“ დამფუძნებელი და თავჯდომარე	2013 – დღემდე	გამგეობის თავჯდომარე
საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სისხლის სამართლის კომიტეტის წევრი	2014 – 2015	კომიტეტის წევრი
კოალიცია "ქართული ოცნება" ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის წევრი	2012 - 2013	კომიტეტის წევრი, ადვოკატი
შპს "პალატი"	2009 - 2010	იურისტი
ადვოკატი - საერთო სპეციალიზაციით	2010 - დღემდე	ადვოკატი

დამთავრებული კურსები (დასახელება, დამთავრების თარიღი), კომპიუტერული უნარ-ჩვევები (პროგრამები, დონე), უცხო ენები, აღნიშვნები, ჯილდოები

2010 წლის 25 ივნისი ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა – საერთო სპეციალიზაციი (შესაბამისი სერთიფიკატი)

2012/03 წელი განგრძობადი იურიდიული განათლების ფარგლებში ბიზნეს სამართლის ეროვნული სიმპოზიუმი თავისუფალ უნივერსიტეტში, კრედიტორთა დაცვა, დირექტორების და ხელმძღვანელი პირების პასუხისმგებლობა მესამე პირებთან ურთიერთობაში ადვოკატის გამოხატვის თავისუფლების რეგულირება საქართველოში და საზღვარგარეთ

2012/03 წელი (ABA) ამერიკის ადვოკატთა ასოციაცია, სასამართლო უნარ-ჩვევების განვითარება, ნაფიც მსაჯულთა შერჩევა. (შესაბამისი სერთიფიკატი)

2012/04 წელი (ABA) ამერიკის ადვოკატთა ასოციაცია, კრიმინალისტიკური ექსპერტიზა ფსიქოლოგიური ექსპერტიზა, ავტო-საგზაო შემთხვევათა ექსპერტიზა, სასამართლო ექსპერტიზა, ექსპერტი მოწმის დაკითხვა და მტკიცებულების წარდგენა ადვოკატებისთვის (შესაბამისი სერთიფიკატი)

2012/07 წელი საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, ტრენინგი განგრძობადი იურიდიული განათლების ფარგლებში ადვოკატთა პროფესიული ეთიკის თემაზე ტრენინგი (შესაბამისი სერთიფიკატი)

2013/03 საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია – ტრენინგი სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთებაში

2008 წელი 18 დღიანი სამხედრო სარეზერვო კურსები, მუხროვანის ბაზაზე

2008/08 რუსეთ-საქართველოს სამხედრო კონფლიქტში მონაწილეობა, ღრომის ხეობაში

2012/10/01 მართვის მოწმობა B კატეგორია

სამხედრო ბილეთი

ენები: ქართული (მშობლიური), რუსული (საშუალოდ), ინგლისური (საშუალოდ), ბერძნული (კარგად)

კომპიუტერი: Microsoft Office (Word, Excel, PowerPoint) Internet (შესაბამისი სერთიფიკატი)